



N 21/7252
31/08/2023

7252-21-2-202308311550



შპს „საქენერგო“

მის: ქ. თბილისი, ყიფშიძის შესახვევი 15, სართ. 3

ელ.ფოსტა: tengo@archi.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის 19 ივნისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N5605 განცხადება, რომელიც ეხება თეთრიწყაროსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, მდინარე ხრამზე შპს „საქენერგო“ დაგეგმილ 10.4 სიმძლავრის „ხრამი 7 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციასა და 35 კვ ეგზ-ის გაყვანას.

გაცნობებთ, რომ გზმ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზმ-ის ანგარიშის 3.3 ქვეთავში მოცემულია ინფორმაცია სათავე ნაგებობის მეორე ალტერნატიული ვარიანტის შესახებ, რომლის მიხედვით სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 522 მ ნიშნულზე, ხოლო ძალური კვანძის 566 მ ნიშნულზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სადაწნეო მილსადენის დერეფანში არსებობს ერთი მცირე მდინარე (მდ. გეთისწყალი) და 3 ბუნებრივი მშრალი ხევი, რომელთა გადაკვეთა მოხდება მილხიდების საშუალებით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მათი ჰიდროლოგიური მახასიათებლებისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იყოს სათავე ნაგებობების, აკვედუკებისა და ჰესის შენობის გასწორებში წყლის ხარჯებისა და სიღრმეების დამოკიდებულების მრუდები;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სამშენებლო ზღუდარების ნახაზები/ჭრილები. არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად წარმოდგენას საჭიროებს ჭრილებზე საანგარიშო წყლის დონეები;
- დოკუმენტაციაში (ცხრილში 4.3.4.2.) სხვა მონაცემებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე კაშხლის ქვედა ბიეფში არსებული თევზსაშენი ტბორებისათვის მისაწოდებელი წყლის ხარჯი;
- წარმოდგენილი პარამეტრების მქონე სადაწნეო მილსადენისათვის მნიშვნელოვანია გამთანაზრებელი რეზერვუარის მოწყობა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით აღნიშნული ნაგებობის მშენებლობა გათვალისწინებული არ არის, რაც საჭიროებს განმარტებას/დასაბუთებას;

- დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ჰიდრაულიკური დარტყმის სიდიდე და მილსადენის კედლის სისქის დასაბუთება, ასევე მილსადენის განთავსების სიღრმის და მასზე გათვალისწინებული ნაყარის სიმაღლის შესახებ ინფორმაცია, კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ასევე დაზუსტებას საჭიროებს გათვალისწინებულია თუ არა მილსადენზე ნორმატივებით განსაზღვრული საინსპექციო სამუშაოების მოწყობა;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ საავტომობილო გზის მოწყობა დაგეგმილია სადაწნეო მილსადენის დერეფანში, რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნება, როგორც სამომსახურეო გზა. თუმცა გაურკვეველია, როგორ ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის მდინარის გადაკვეთის ადგილში გადაადგილების ორგანიზება მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში;
- გზშ-ის ანგარიშში (სადაწნეო მილსადენის ჭრილები) მოცემულია მილსადენის თაროები და გზის განივკვეთები. დაზუსტებას საჭიროებს, ფერდობებზე კლდოვანი ქანები გაშიშვლებულია თუ გადაფარულია გრუნტის (დელუვიური/პროლუვიური) ფენით. გარდა ამისა, დასაბუთებული უნდა იქნას ფერდობების დამუშავების ქანობი და ჰორიზონტალური ბერმების საჭიროება;
- გზშ-ის ანგარიშში სადაწნეო აუზზე და/ან სალექარზე არ არის გათვალისწინებული უქმი წყალსაგდების მოწყობა, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს როგორ ხორციელდება ჭარბი წყლის ან აგრეგატების რეგულირებისას წარმოქმნილი ტალღის გადაგდება სათავე ნაგებობების ქვემო ბიეფში;
- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილია თუ არა წყალმიმღებისა და სალექარის შემოღობვა, ფაუნის სახეობებზე ზემოქმედების მაქსიმალურად შესამცირებლად;
- გზშ-ის ანგარიშში ტექტონიკური აგებულების დახასიათებისას მოყვანილი არ არის ნაშრომის წელი. ვინაიდან ე. გამყრელიძის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ტექტონიკური დარაიონების სქემები განსხვავდება, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო არეალის ტექტონიკური და გეოლოგიური რუკები;
- ეგხ-ს დერეფნის საინჟინრო-გეოლოგიური აღწერისას არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დერეფნის ფარგლებში ან მასზე შესაძლო ზემოქმედების არეალში გავრცელებული გეოლოგიური საფრთხეების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის 5.2.2.7 ქვეთავის თანახმად, მილსადენის განთავსების ზოგიერთ მონაკვეთზე „ფერდობებზე განვითარებულ პერიოდულად მოქმედი (ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში) ხევები ამოვსებულია“. დაზუსტებას საჭიროებს ფერდობებზე განვითარებული ხევების შემავსებელი მასალის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 113. სგე-1 თიხა) მახასიათებლები მოცემული არ არის სტანდარტული ფორმით ცხრილის ან გრაფიკული სახით. ასევე გაურკვეველია ფრაზა „ფრაქციის შემცველობა“, ამასთან არ არის მითითებული სტანდარტის ინდექსი. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის გვ. 114-117. ნორმატიული სიდიდეების მოყვანისას გაუგებარია გამოყენებული ლათინურ/ბერძნულ/ქართული (შერეული) ინდექსაცია და გეოტექნიკური მახასიათებლები;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 9 ბალიან სეისმური

აქტივობის ზონას, რის გამოც, გრუნტების სეისმური თვისებებისა და რეგიონის სეისმურობის გათვალისწინებით, სამშენებლო მოედნის სეისმურობად მისაღება - 9 ბალი, ხოლო გზშ-ის ანგარიშის 4.1.5 ქვეთავის თანახმად, საპროექტო ჰესის ნაგებობები დაპროექტებულია 8 ბალიანი სეისმური დატვირთვის გათვალისწინებით, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ასევე ჰესის და ეგხ-ს დერეფნის სეისმურობის დახასიათებისას მოყვანილი უნდა იყოს სეისმურობის A კოეფიციენტის მნიშვნელობები.

- დაზუსტებას საჭიროებს ხელფრთიანებისთვის დაგეგმილი საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ მეთოდების დეტალური აღწერა, დამურების სახლების ე.წ Bat Box-ების რაოდენობა, არსებული სამყოფლის ხის ტანის ნაწილების გადატანის/განთავსების მეთოდების უპირატესობები/ნაკლოვანება და სხვა დამატებითი დეტალები;
- გზშ-ის ანგარიშის მე-4 თავში აღნიშნულია, რომ მილსადენის დერეფნიდან 75 მეტრში მდებარეობს ირდასუბნის ღვთისმშობლის ბაზილიკა. შესაბამისად აღნიშნული უბნისთვის წარმოდგენილი უნდა იქნეს განივი ჭრილი მდინარის კიდის, მილსადენისა და გზის ვაკისის, ფერდობის დამუშავების კონტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ჩვენებით;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა პერიოდის ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით, მათ შორის, შუა საუკუნეების ნასოფლარებით, ხოლო ერთ-ერთი ასეთი ობიექტი (იფნობის შუა საუკუნეების ნასოფლარი) ფიქსირდება სანაყაროსთვის (N1) განკუთვნილი ტერიტორიის სიახლოვეს. შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, სააგენტოს აუცილებლად მიაჩნია, აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს მეორე ეტაპით გათვალისწინებული არქეოლოგიური სამუშაოები (დაშურფვა) და შედეგების განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე N1 სანაყაროს მოწყობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ტერიტორია მოიცავს, მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით მომზადებულ სააუქციონო ობიექტს, ასევე ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე კლდოვანის მოსაპირკეთებელი ბაზალტისა და თაფანის მოსაპირკეთებელი დოლერიტის საბადოს კონტურებს. კლდოვანის საბადოს ტერიტორიასთან თანაკვეთის ფართობზე (94 კვ.მ) ბაზალტის მარაგი შეადგენს 940 მ³ -ს, ხოლო თაფანის საბადოს ტერიტორიასთან თანაკვეთის ფართობზე (160 კვ.მ) დოლერიტის მარაგი შეადგენს 3200 მ³ -ს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით“.

კლდოვანის ბაზალტის და თაფანის დოლერიტის საბადოების ტერიტორიაზე განაშენიანების სანაცვლოდ განსაზღვრულ კომპენსაციასთან დაკავშირებული საკითხი საჭიროებს შეთანხმებას სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან. ამასთან სააგენტო თანახმაა აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე იმ შემთხვევაში, თუ საბადოს დარჩენილ ტერიტორიაზე არ შეიზღუდება მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მეორე სამშენებლო ბანაკისათვის შემუშავებულ ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში არ არის გათვალისწინებული №408 დადგენილების მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

გთხოვთ, **ორი თვის** ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

